



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030171412877918

№ 01-1328/თ

09 / დეკემბერი / 2018 წ.

**„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს N01-177/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,  
ვბრძანებ:

1. „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს N01-177/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

**ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N22 დანართის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა) მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N22 დანართის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა)“ მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,“;

**ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა უზრუნველყოფის პროცესის მონესრიგების მიზნით, დამტკიცდეს თანდართული, გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი II), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ეპილევსიის და პარკინსონის შესაბამისი დიაგნოზების ჩამონათვალი (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD10) მიხედვით) და ამ დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების მინიმალური და მაქსიმალური სარეკომენდაციო დღიური დოზები (დანართი N1).“;

**გ) პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 10 დეკემბრიდან.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ილემბრონულად



დავით სერგეენკო